საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/67 “ 11 ” ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წლის 30 ივნისის №06-5699 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში შესულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ლიფტის მოწყობის მიზნით დასმულია საკითხი სასამართლოს შენობის წინ არსებული 280 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შემოერთების საჭიროების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას მითითებული მიწის ნაკვეთის დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადმოსაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადმოცემისთვის.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი